სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/224

ქ. თბილისი 31 აგვისტო 2019

კოსტავას №75 სახლის ფასადზე მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, რექტორის თანაშემწის, ი. გორგიძის წერილისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ეთხოვოს მერიის შესაბამის სამსახურს კოსტავას №75 სახლის ფასადზე გაკეთდეს მემორიალური დაფა გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, სტუ-ის პროფესორების: მერაბ თევზაძის, იუზა ვერულავას და თამაზ გეგეჭკორის სახელთა უკვდავსაყოფად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**